رئاسة الشؤون الدينية
بالمسجد الحرام والمسجد النبوي

ყურბნის შეწირვისა და დაკვლის წესები

ქართული | جورجي | أَحْكَامُ الهَدْيِ وَالأَضَاحِي وَالتَّذْكِيَةِ

ისლამური კონტენტის სხვადასხვა ენაზე გავრცელების ასოციაციის სამეცნიერო კომიტეტი

أَحْكَامُ

الهَدْيِ وَالأَضَاحِي وَالتَّذْكِيَةِ

ყურბნის შეწირვისა და

დაკვლის წესები

اللَّجْنَةُ العِلْمِيَّةُ

بِرِئَاسَةِ الشُّؤُونِ الدِّينِيَّةِ بِالمَسْجِدِ الحَرَامِ وَالمَسْجِدِ النَّبَوِيِّ

ისლამური კონტენტის სხვადასხვა ენაზე
გავრცელების ასოციაციის სამეცნიერო
კომიტეტი

ყურბნის შეწირვისა და დაკვლის წესები

შესავალი

ქება დიდება ალლაჰს, სამყაროების ღმერთს, ლოცვა და მშვიდობა სამყაროს წყალობად გამოგზავნილ მუჰამმადს, მის ოჯახს, მის ყველა მეგობარს, ვინც აიღო მისი სუნნა და ვინც გაჰყვა მის გზას განკითხვის დღემდე, ამის შემდეგ:

ეს არის მოკლე გზავნილი, რომელიც მოიცავს იმ უმთავრეს საკითხებს, რაც მორწმუნე მუსლიმს სჭირდება ყურბან ბაირამის შესაწირვების და საკლავის დაკვლის წესების საკითხებში. ის შეიკრიბა ორი წმინდა მეჩეთის მომნახველებისთვის და მომლოცველებისთვის, რათა იყვნენ ინფორმირებულნი და გააზრებულად აღიქვამდნენ თავიანთ რელიგიას. ვთხოვთ დიდმოწყალე ალლაჰს, რომ ამით სარგებელი მიანიჭოს, გახადოს ეს საქმე მტკიცე და მხოლოდ მისთვის განკუთვნილი. ნამდვილად, ის არის საუკეთესო, ვისგანაც რამეს სთხოვენ და უხვად ანიჭებს იმედის მქონეთ.

ისლამური კონტენტის სხვადასხვა ენაზე გავრცელების ასოციაციის სამეცნიერო კომიტეტი

მექქაში ყურბნისა და მსხვერპლშეწირვის წესები

ჰადი არის ყველაფერი, რაც მიძღვნილია ჰარამისთვის (მექქის აკრძალულ ტერიტორიისთვის) და იკვლება მის ტერიტორიაზე, იქნება ეს პირუტყვი თუ სხვა. ამიტომ ეწოდა მას, რადგან იგი ეძღვნება უზენაეს ალლაჰს.

ყურბანი არის ის, რაც იკვლება ალლაჰისთვის იდ ალ-ადჰას დღეს და თაშრიყის დღეებში, ალლაჰთან დაახლოების მიზნით.

მუსლიმები ერთსულოვნად თანხმდებიან იმაზე, რომ ჰადი და ყურბანი შარიათით დადგენილი ქმედებებია.

ჰადისგან ყველაზე საუკეთესოა: აქლემი, შემდეგ — ძროხა, თუ იგი სრულად ერთმა ადამიანმა შესწირა, რადგან მისი ღირებულება

მაღალია და ღარიბებს ბევრად მეტ ხორცს აძლევს, შემდეგ მოდის ცხვარი.

ხოლო თითოეული სახეობიდან (აქლემი, ძროხა, ცხვარი) უპირატესობა ენიჭება უფრო მსუქანს, შემდეგ უფრო ძვირადღირებულს, უზენაესის თქმით:

﴿ذَٰلِكَۖ وَمَن يُعَظِّمۡ شَعَٰٓئِرَ ٱللَّهِ فَإِنَّهَا مِن تَقۡوَى ٱلۡقُلُوبِ ٣٢﴾[الحج: ٣٢].

«ამგვარად. ვინც განადიდებს ალლაჰის ნიშნებს(რიტუალებს), ეს გულთა ღვთისმოშიშებისგანაა». [სურა ალ-ჰაჯჯ: 32]

არ ითვლება ვარგისად, გარდა ახალგაზრდა ცხვრისა ანუ ის, რომელმაც დაასრულა ექვსი თვე. ხოლო რაც შეეხება სხვა სახეობებს აქლემს, ძროხას და თხას, მათგან ვარგისად ითვლება მხოლოდ უფროსი ასაკის ცხოველი, და ის არის: აქლემი, რომელმაც დაასრულა ხუთი წელი, ძროხიდან, რომელმაც შეასრულა ორი წელი, თხიდან, რომელმაც შეასრულა ერთი წელი.

ცხვარი ჰადის შემთხვევაში საკმარისია ერთი ადამიანისთვის, ხოლო ყურბანი საკმარისია ერთი ადამიანისა და მისი ოჯახისთვის. რაც

შეეხება აქლემსა და ძროხას ისინი ჰადისა და ყურბნის შემთხვევაში ითვლება საკმარისად შვიდი ადამიანისთვის, ამის დასტურია ჯაბირ იბნ აბდულლაჰის (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) ჰადისი, სადაც თქვა:

«نَحَرْنَا مَعَ رَسُولِ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ عَامَ الْحُدَيْبِيَةِ الْبَدَنَةَ عَنْ سَبْعَةٍ، وَالْبَقَرَةَ عَنْ سَبْعَةٍ».

«ჩვენ შევწირეთ მსხვერპლად შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად ჰუდაიბიას წელს, აქლემი შვიდმა ადამიანმა და ძროხაც შვიდმა ადამიანმა». სხვა გადმოცემით:

«خَرَجْنَا مَعَ رَسُولِ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ مُهِلِّينَ بِالْحَجِّ فَأَمَرَنَا رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ أَنْ نَشْتَرِكَ فِي الْإِبِلِ وَالْبَقَرِ كُلُّ سَبْعَةٍ مِّنَّا فِي بَدَنَةٍ».

«ჩვენ გავედით შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად, ჰაჯისთვის თალბია წარმოთქმული გვქონდა.

მაშინ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვიბრძანა, რომ შევკავშირებულიყავით აქლემსა და ძროხაში შვიდი ადამიანი ერთ აქლემზე ან ძროხაზე». სხვა გადმოცემით:

«حَجَجْنَا مَعَ رَسُولِ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ فَنَحَرْنَا الْبَعِيرَ عَنْ سَبْعَةٍ، وَالْبَقَرَةَ عَنْ سَبْعَةٍ»

«ჩვენ ჰაჯობა შევასრულეთ შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად და დავკალით აქლემი შვიდმა ადამიანმა და ძროხა შვიდმა ადამიანმა».[1]

აბუ აიუბ ალ-ანსარის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰადისში, როცა მას ჰკითხეს: როგორ ხდებოდა მსხვერპლშეწირვა ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დროს? მან თქვა:

«كَانَ الرَّجُلُ يُضَحِّي بِالْشَاةِ عَنْهُ وَعَنْ أَهْلِ بَيْتِهِ، فَيَأْكُلُونَ، وَيُطْعِمُونَ، حَتَّى تَبَاهَى النَّاسُ فَصَارَتْ كَمَا تَرَى».

«კაცი სწირავდა ერთ ცხვარს თავისთვის და თავისი ოჯახისთვის. ისინი ჭამდნენ მისგან და სხვებსაც აჭმევდნენ, სანამ ხალხმა ერთმანეთთან კონკურენცია არ დაიწყო, და საქმე იქამდე მივიდა, რასაც ახლა ხედავ»[2].

ცხვარი უკეთესია, ვიდრე აქლემის ან ძროხის მეშვიდედი წილი.

---

[1] გადმოსცა მუსლიმმა.

[2] გადმოსცა ათ-თირმიზიმ და იბნ მააჯამ.

ჰადისა და ყურბნის შემთხვევაში არ არის შესაწირად ვარგისი ცხოველი, რომელიც არის ავადმყოფი, ფიზიკურად ჯამრთელი არ არის, ან ძალიან გამხდარია. არ არის საკმარისი: ცალითვალითმხედველი, რომელსაც აშკარად ეტყობა სიბრმავე, ჩონჩხამდე გამხდარი, კოჭლი, რომელიც ვერ მიაბიჯებს ჯანმრთელ ცხოველთან ერთად, კბილებჩამტვრეული (რომელსაც წინა კბილები აკლია), გამხმარი ძროხა ან ცხვარი, რომელსაც რძე აღარ რჩება ხანში შესვლის გამო, აშკარად ავადმყოფი ცხოველიც არაა გარგისი. ამას ადასტურებს ბარა იბნ ‘აზიბის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰადისი, სადაც ნათქვამია, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჩვენთან დადგა და თქვა:

«أَرْبَعٌ لَا تَجُوزُ فِي الْأَضَاحِي: الْعَوْرَاءُ الْبَيِّنُ عَوَرُهَا، وَالْمَرِيضَةُ الْبَيِّنُ مَرَضُهَا، وَالْعَرْجَاءُ الْبَيِّنُ ظَلْعُهَا، وَالْعَجْفَاءُ الَّتِي لا تُنْقِي».

«ოთხი სახის ცხოველი არ არის დაშვებული ყურბანში: ცალითვალით მხედველი, რომელსაც აშკარად ეტყობა სიბრმავე, ავადმყოფი, რომლის

ავადმყოფობაც აშკარად შესამჩნევია, კოჭლი, რომლის კოჭლობაც აშკარაა, ძალზე გამხდარი, რომელსაც არ აქვს ძვლის ტვინი»[1].

იმამ ათ-თრმიზიმ (ალლაჰმა შეიწყალოს ის) თქვა: და სწავლულთა შეხედულებით ამ ჰადისზე ემყარება მოქმედება[2].

თამათუ'ის ჰადისა და ყურბანის დაკვლის დრო იწყება სადღესასწაულო ლოცვის შემდეგ და გრძელდება თაშრიყის დღეების ბოლომდე, რაც არის სწორად მიჩნეული შეხედულება.

სასურველია, რომ ჭამოს თავისი ჰადიდან, თუ ეს არის ჰადი თამათუ'ის ან ყირანის, თავისივე ყურბნიდან, და გასცეს საჩუქრად და გასცეს მოწყალებად სამ ნაწილად, უზენაესი ალლაჰის თქმით:

﴿...فَكُلُواْ مِنۡهَا وَأَطۡعِمُواْ ٱلۡبَآئِسَ ٱلۡفَقِيرَ﴾ [الحج: ٢٨].

«განსაზღვრულ დღეებში ჭამეთ მისგან თქვენც და დააპურეთ გაჭირვებული უპოვრებიც». [სურა ალ-ჰაჯჯ: 28]

---

[1] გადმოსცა აბუ დაუდმა, ათ-თირმიზიმ და იბნ მააჯამ.

[2] გადმოცემულია ათ-თირმიზისგან.

ხოლო რაც შეეხება ჰად ალ-ჯუბრანს ანუ იმას, რაც ითვლება იჰრამის აკრძალულ ქმედებათა ჩადენის ან ვალდებულების გამოტოვების გამო მლოცველი არ ჭამს მისგან არაფერს.

ვისაც სურს, რომ ყურბანი შესწიროს როცა შევა ზულ-ჰიჯჯას ათი დღე, არ უნდა შეიჭრას არაფერი თავისი თმიდან და ფრჩხილებიდან, სანამ არ დაკლავს ყურბანს

შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქმით:

«إِذَا دَخَلَ الْعَشْرُ، وَأَرَادَ أَحَدُكُمْ أَنْ يُضَحِّيَ؛ فَلَا يَأْخُذْ مِنْ شَعْرِهِ وَلَا مِنْ أَظْفَارِهِ شَيْئًا، حَتَّى يُضَحِّيَ».

«როცა დადგება (ზულ-ჰიჯჯას) ათი დღე, და რომელიმე თქვენგანს სურს ყურბნის შეწირვა, ნუ შეიჭრის ნურაფერს თავისი თმიდან და ფრჩხილებიდან, სანამ არ შესწირავს ყურბანს»[1].

თუ კი ვინმე ამისგან რაიმეს მაინც ჩაიდინს, მან ალლაჰს შენდობა უნდა სთხოვოს, და მას არ დაეკისრება გამოსასყიდი.

---

[1] გადმოსცა მუსლიმმა.

ჰადიუს, ყურბნისა და სხვა საკლავის დაკვლის წესი არის შემდეგნაირად:

1. დაკვლა არ ეკისრება არავის, გარდა მუსლიმისა, რომელიც გონიერია და გააზრებული აქვს, ან წიგნის ადამიანია (იუდეველი ან ქრისტიანი). დამკლავი უნდა ახორციელებდეს დაკვლას განზრახვით, არ დაკლავს ალლაჰის გარდა სხვისთვის, და არ უნდა წარმოთქვას თალბიას ალლაჰის გარდა სხვის სახელზე. დაკვლის დროს უნდა წარმოთქვას ალლაჰის სახელი (ბისმილლაჰ), და დაკვლა უნდა მოხდეს ბასრი იარაღით, რომელიც არც კბილია და არც ფრჩხილი.

უნდა დაიღვაროს სისხლი მის შესაბამის ადგილას. ასევე აუცილებელია, რომ დამკლავი იყოს შარიათით ნებადართული[1]

2. აირჩიოს მსხვერპლი (ყურბანი) და ეცადოს, რომ აირჩიოს ყველაზე სრულყოფილი ცხოველი, მხოლოდ.

---

[1] ყურბნის წესები, სწავლული მუჰამმად იბნ უსაიმინი, (გვ. 56–87).

«ضَحَّى رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ بِكَبْشَيْنِ أَمْلَحَيْنِ، أَقْرَنَيْنِ، ذَبَحَهُمَا بِيَدِهِ، وَسَمَّى، وَكَبَّرَ، وَوَضَعَ رِجْلَهُ عَلَى صِفَاحِهِمَا».

«მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაკლა ორი თეთრი, რქიანი ყოჩი (მამალი ცხვარი), ახსენა ალლაჰის სახელი და განადიდა ის, შემდეგ თავისი ფეხი დაადო მათ კისრებზე»[1]

3. მოწყალეობა დასაკლავი ცხოველისადმი – გულისხმობს ყველაფრის კეთებას, რაც მას შეამსუბუქებს დაკვლის დროს. მათ შორის: დაკვლა უნდა განხორციელდეს ბასრი იარაღით, და ის სწრაფად და მტკიცედ უნდა გაევლოს დაკვლის ადგილს,

რადგან მიზანი არის სული რაც შეიძლება სწრაფად გამოვიდეს, ყველაზე სრულყოფილი გზით და ყოველგვარი ტკივილის გარეშე. ამაზე მიანიშნებს ჰადისი შადდაად იბნ აუვსისგან, ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით, რომელმაც თქვა: "ორი რამ დავიმახსოვრე ალლაჰის შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

---

[1] გადმოსცა ალ-ბუხარიმ და მუსლიმმა.

«إِنَّ اللَّهَ كَتَبَ الْإِحْسَانَ عَلَى كُلِّ شَيْءٍ، فَإِذَا قَتَلْتُمْ فَأَحْسِنُوا الْقِتْلَةَ، وَإِذَا ذَبَحْتُمْ فَأَحْسِنُوا الذَّبْحَ، وَلْيُحِدَّ أَحَدُكُمْ شَفْرَتَهُ، فَلْيُرِحْ ذَبِيحَتَهُ».

«ჭეშმარიტად, ალლაჰმა დაავალა, რომ ყოველ საქმეში მოწყალება გამოიჩინოთ, ამიტომ თუ მოგიწევთ ვინმეს მოკვლა, აირჩიეთ მოწყალე (უმტკივნეულო) მეთოდი. ხოლო თუ ცხოველს დაკლავთ, გამოიჩინეთ მოწყალება დაკვლის დროსაც. თითოეულმა თქვენგანმა კარგად უნდა გალესოს თავისი დანა, რათა ცხოველს ტანჯვა არ მოეწიოს».[1]

არასასურველია, რომ დამკვლელის დანა გაილესოს მაშინ, როცა ცხოველი უყურებს მას, რადგან გადმოცემულია იბნ ‘უმარის (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) სიტყვები, სადაც მან თქვა:

أَمَرَ النَّبِيُّ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ بِحَدِّ الشَّفَارِ، وَأَنْ تُوَارَى عَنِ الْبَهَائِمِ، وَقَالَ: «إِذَا ذَبَحَ أَحَدُكُمْ؛ فَلْيُجْهِزْ».

«მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ბრძანა, რომ დანა კარგად გალესონ, და რომ ცხოველს არ ანახონ იგი,

---

[1] გადმოსცა მუსლიმმა.

და თქვა: როცა რომელიმე თქვენგანი დაკვლას დააპირებს დაე დაასრულოს (დაკვლა სწრაფად)»[1].

4. თუ მსხვერპლი აქლემია, მისი დაკვლა უნდა მოხდეს მდგომარე მდგომარეობაში, მაშინ, როცა მისი მარცხენა წინა ფეხი შეკრულია, ამის დასტურია აბდულლაჰ იბნ ‘უმარის (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) ჰადისი, სადაც ნათქვამია: «მიუახლოვდა კაცს, რომელმაც დააწვინა თავისი აქლემი, რომ დაეკლა იგი, და უთხრა: ააყენე იგი მდგარ მდგომარეობაში, შეკრული ფეხით, ეს არის მუჰამმადის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სუნნა»[2].

5. თუ მსხვერპლი აქლემის გარდა სხვა ცხოველია (მაგ. ძროხა, ცხვარი, თხა), მაშინ დაკვლა უნდა მოხდეს მარცხენა გვერდზე დაწვენით, და დამკლავმა უნდა დაადოს ფეხი მის კისერზე — რომ კარგად აკონტროლოს იგი. ამის დასტურია ანას იბნ მაალიქის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰადისი, სადაც თქვა:

---

[1] გადმოსცა აჰმადმა და იბნ მააჯამ.

[2] გადმოსცა ალ-ბუხარიმ და მუსლიმმა.

«ضَحَّى رَسُولُ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ بِكَبْشَيْنِ، أَمْلَحَيْنِ، أَقْرَنَيْنِ، ذَبَحَهُمَا بِيَدِهِ، وَسَمَّى، وَكَبَّرَ، وَوَضَعَ رِجْلَهُ عَلَى صِفَاحِهِمَا».

«მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაკლა ორი თეთრი, რქიანი ყოჩი (მამალი ცხვარი), ახსენა ალლაჰის სახელი და განადიდა ის, შემდეგ თავისი ფეხი დაადო მათ კისრებზე»[1]

6. ალლაჰის სახელის ხსენება დაკვლის დროს სავალდებულოა, უზენაესი ალლაჰის სიტყვების თანახმად:

﴿فَكُلُواْ مِمَّا ذُكِرَ ٱسۡمُ ٱللَّهِ عَلَيۡهِ إِن كُنتُم بِـَٔايَٰتِهِۦ مُؤۡمِنِينَ ١١٨﴾ [الأنعام: ١١٨]

«ჭამეთ, რაზეც ნახსენები იქნება ალლაჰის სახელი, თუკი მისი აიათების მიმართ მორწმუნენი ხართ». (ალ-ან'ამ: 118) უზენაესი ალლაჰის სიტყვები:

﴿وَلَا تَأۡكُلُواْ مِمَّا لَمۡ يُذۡكَرِ ٱسۡمُ ٱللَّهِ عَلَيۡهِ وَإِنَّهُۥ لَفِسۡقٞۗ وَإِنَّ ٱلشَّيَٰطِينَ لَيُوحُونَ إِلَىٰٓ أَوۡلِيَآئِهِمۡ لِيُجَٰدِلُوكُمۡۖ وَإِنۡ أَطَعۡتُمُوهُمۡ إِنَّكُمۡ لَمُشۡرِكُونَ ١٢١﴾ [الأنعام: ١٢١]

---

[1] გადმოსცა ალ-ბუხარიმ და მუსლიმმა.

(და ნუ შეჭამთ იმას, რაზედაც ალლაჰის სახელი არაა ნახსენები. ის სიბილწეა. ეშმაკები მათ მეგობრებს აქეზებენ, რათა გეკამათონ. და თუკი მათ დაემორჩილებით, უეჭველად წარმართები(მუშრიქები) იქნებით) (ალ-ან'ამ: 121) და ასევე მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიტყვების საფუძველზე:

«مَا أَنْهَرَ الدَّمَ وَذُكِرَ اسْمُ اللَّهِ عَلَيْهِ؛ فَكُلُوهُ مَا لَمْ يَكُنْ سِنًّا وَلَا ظُفْرًا».

«ყველაფერი, რისგანაც გამოედინება სისხლი და რაზეც ალლაჰის სახელი იქნა ხსენებული ჭამეთ იგი, თუ იგი არ არის კბილი ან ფრჩხილი»[1].

რეკომენდებულია თაქბირის თქმაც ალლაჰის სახელის ხსენებასთან ერთად, ჯაბირ იბნ აბდულლაჰის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰადისის საფუძველზე, სადაც ის ამბობს:

«მე ვესწრებოდი შუამავალთან ერთად (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყურბნის დღეს სალოცავში. როცა მან დაასრულა

---

[1] გადმოსცა ალ-ბუხარიმ და მუსლიმმა.

ქადაგება, ჩამოვიდა მინბარიდან, მოიყვანეს ყოჩი, და შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაკლა იგი საკუთარი ხელით და თქვა:

«بِسْمِ اللَّهِ وَاللَّهُ أَكْبَرُ، هَذَا عَنِّي وَعَنْ مَنْ لَمْ يُضَحِّ مِنْ أُمَّتِي».

«ბისმილლაჰ, ალლაჰუ აქბარ, ეს ჩემგანაა და იმათგან, ვინც ვერ შესწირა ყურბანი ჩემი უმმეთიდან»[1].

7 — უნდა გადაჭრას: სუნთქვის მილი, საკვების მილი, ორივე ყელისძარღვი და უზრუნველყოს სისხლის გამოღწევა. შეიხ აბდულ-აზიზ იბნ ბაზი (ალლაჰმა შეიწყალოს ის) ამბობს: «შარიათური დაკვლა აქლემის, ძროხის და ცხვრისთვის ხდება სამ ფორმად:

პირველი მდგომარეობა: რომ დამკლავმა გადაჭრას:

სუნთქვის მილი, საკვების მილი და ორივე ყელძარღვი ეს არის ყველაზე სრულყოფილი და უპირატესი დაკვლის ფორმა. როცა ეს ოთხივე

---

[1] გადმოცემულია აბუ დაუდის და ათ-თირმიზის მიერ, და სანდოდ აღიარა ალბანიმ.

გადაჭრილია დაკვლა არის ნებადართული ყველა სწავლულის შეხედულებით.

მეორე მდგომარეობა: რომ დამკლავმა გადაჭრას სუნთქვის მილი, საკვების მილი და ერთი ყელის ძარღვი ასეთ შემთხვევაშიც დაკვლა ჰალალია, სწორია და კარგი, თუმცა იგი უფრო დაბალი ხარისხისაა, ვიდრე პირველი მდგომარეობა.

მესამე მდგომარეობა: რომ გადაჭრას მხოლოდ სუნთქვის მილი და საკვების მილი ყელის ძარღვების გარეშე, ესეც სწორია და მისაღები, და ამ მოსაზრებას იზიარებს სწავლულთა ჯგუფი. მათი მტკიცებულება შუამავლის სიტყვებია (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას):

«مَا أَنْهَرَ الدَّمَ وَذُكِرَ اسْمُ اللَّهِ عَلَيْهِ فَكُلُوا، لَيْسَ السِّنَّ وَالظُّفْرَ».

«რისგანაც გამოედინება სისხლი და რაზეც ალლაჰის სახელი იქნა ხსენებული ჭამეთ იგი,

თუ მხოლოდ ეს არ არის კბილი ან ფრჩხილი»[1]. და ეს არის რჩეული შეხედულება ამ საკითხში[2].

ალლაჰს ვთხოვთ, რომ გვასარგებლოს იმით, რაც გვასწავლა,

და გვასწავლოს ის, რაც გვარგებს, ის არის გულუხვი და ღირსეული, ალლაჰის მშვიდობა და ლოცვა იყოს ჩვენს მოციქულ მუჰამმადზე, მის ოჯახზე და მის საჰაბებზე უხვი და მრავალი დალოცვით.

❋❋❋

---

[1] გადმოსცა ალ-ბუხარიმ და მუსლიმმა.

[2] იხილე: ფეთვების კრებული იბნ ბაზის, ტომი 18, გვერდი 26.

رئاسة الشؤون الدينية
بالمسجد الحرام والمسجد النبوي

رسالة الحرمين

ორი წმინდა მეჩეთის წერილი

სასწავლო კონტენტი სხვადასხვა ენებზე მეჩეთ ალ ჰარამის და შუამავლის წმინდა მეჩეთის მნახველებისთვის